საქართველოს მთავრობის

დადგენილება №600

2025 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/04/2015, 470000000.10.003.018554) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის („ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა“) 5^2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5^2. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრება 4 831.2 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	**C ჰეპატიტის მართვა**	**3 066.1**
	სკრინინგული კვლევის კომპონენტი	1,000.0
	დიაგნოსტიკის კომპონენტი	1,786.1
	მკურნალობის კომპონენტი	51.0
	ლოჯისტიკის კომპონენტი	229.0
2	**B ჰეპატიტის მართვა**	**1 765.1**
	ბენეფიციართა გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მონიტორინგი	1,365.1
	B ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტის, ტესტებისა და სახარჯი მასალის შესყიდვა	400.0
	სულ:	**4,831.2**.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**